ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ურბნისის №4; ფერიცვალების შესახვევი №2 განაშენიანების პროექტისათვის



თბილისი
თებერვალი, 2016

საკვლევი ტერიტორია ავლაბრის უბანში მდებარეობს ღვინის აღმართის თავში და ამჯერად შენობების ნგრევის შედეგად გაჩენილ ცარიელ მიწის ნაკვეთს წარმოადგენს, რომელზედაც ძველი გალავნის კედლის ნანგრევი ფიქსირდება. საკვლევი მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მდებარეობს აგრეთვე ურბნისი ქ. №6 - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი. ამ ორი სიძველის არსებობის გამო, აღნიშნული ტერიტორია ყურადსაღებია ძეგლთადაცვითი კუთხით.

XVI საუკუნიდან თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტერიტორია ავლაბრის, იგივე ჰავლაბრის სახელით მოიხსენიება და მის საზღვრებში მეტეხის ტაძრის ზევით არსებული ტერიტორია მოიაზრება.

თავდაპირველად ავლაბარი მეტეხის ციხეზე მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა. ამას მოწმობს 1795 წლის ვახუშტი ბატონიშვილის გეგა, რომელზედაც ეს ტერიტორია შემოსაზღვრული არ არის და მას მხოლოდ თხრილები და ხევები უვლის გარს.



უკვე 1782 წლის გეგმაზე აღნიშნული ტერიტორია გალავანშემოზღუდულია, რაც ერეკლე II-ს საპორტიფიკაციო აღმშენებლობას უკავშირდება. XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან შიდა ავლაბარი გალავნით შემოიზღუდა, მაგრამ 1800 წლის გეგმაზე გალავანი კვლავ დანგრეულია. ამგვარად, ავლაბარი ორ ნაწილად გაიყო: გალავნის შიგნით მოქცეულ ნაწილს შიდა ავლაბარი ეწოდებოდა, ხოლო გალავნის გარეთ დარჩენილ დასახლებას - გარე ავლაბარი. ავლაბრის გალავანში ორი კარი იყო დატანილი - აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კარები.



ავლაბრის მთავარი ღერძი - ე.წ. კახეთის გზატკეცილი, დღევანდელი ქეთევან დედოფლის გამზირი გახდა. გალავნით მოზღუდული დამოუკიდებელი ურბანული უბანი - ავლაბარი საკუთრივ თბილისს ე.წ. ვირის ხიდით უკავშირდებოდა. ადმინისტრაციულად ქალაქს იგი 1802 წ. შეუერთდა.

XIX ს-ის I ნახევარში ავლაბარი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ქალაქს, რაც ღვინის აღმართისა და კიდევ ერთი ხიდის მეშვეობით განხორციელდა. იმავე საუკუნის II ნახევარში მოეწყო ორი ახალი აღმართი: ციციანოვისა - დღევანდელი ბარათაშვილის და სურბ-კარაპეტის - ამჟამად ელენე ახვლედიანის, რომლებმაც შიდა და გარე ავლაბრის კავშირი უზრუნველყო და გაცილებით უფრო მჭიდროდ დააკავშირა ისინი ქალაქთან.

ავლაბრის დაგეგმარება ძირითადად შუასაუკუნოვან ქუჩათა ქსელს ეყრდნობა, რომელიც თბილისის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, იმთავითვე ერთგვარი რეგულარულობით გამოირჩეოდა. ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის სწვრივის პარალელურად გადიოდა, მთავარი ქუჩა (დღევანდელი მეტეხის ქ.) კი მათ ირიბად ჰკვეთდა.

XVIII ს-დან ავლაბრის აღნიშნული ტერიტორია სადედოფლო მამულად იქცა და აქ დარეჯან დედოფალმა თავისი სასახლე საჩინო და კარის ეკლესია დღევანდელი მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია ააგო.



1913 წ. რუკა

XIX ს-ის I ნახევრის განმავლობაში გარეთა ავლაბარი შედარებით დაბალი სოციალური ფენების საცხოვრებელი უბანი იყო, ხოლო XIX ს-ის II ნახევრიდან მოხდა უბნის ხელახალი დაგეგმვა და ფაქტობრივად ავლაბრის ამ ნაწილმა განაშენიანების ამჟამინდელი სახე მიიღო. უბანში დღემდე შემორჩენილი ძველთბილისური საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილი.



მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი ფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი (იხ. რუკები) და ძველი განაშენიანების კვალი, – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, XIX-XX ს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. უბნის არქიტექტურულ-მხატვრული დომინანტი მეტეხის აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანებაა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის ამ ნაწილის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს. ამავე დროს მას ზოგადად, ქალაქისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ უბანზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. ყოველივე ზემოთქმულის გამო მეტად მნიშვნელოვანია უბნისა და მისი განაშენიანების პრინციპების შენარჩუნება და დაცვა.

ეს განაშენიანება XIX საუკუნის ბოლოსათვის თითქმის ისეთ სახეს ატარებდა, როგორც დღეს (ვგულისხმობ მასშტაბს და ძირითადი ნაგებობების მხატვრულ სახეს) იმ განსხვავებით, რომ კლდის დამრეცი ფერდობის ქვემოთ მდებარე დღეს ცარიელი სივრცე მჭიდროდ იყო განაშენიანებული.



ძველ საკადასტრო გეგმაზე კარგად იკითხება დანგრეული შენობების კონფიგურაცია, რომლებიც მიწის ნაკვეთის მოხაზულობას იმეორებს.



ქეთევან წამებულის გამზირზე გამომავალი სრულიად დანგრეული ურბნისის ქუჩა №2 და №4, რომელთაგან მხოლოდ ჩამოქცეული სახლის ჰაერში გამოკიდებული რამდენიმე სათავსი - ორი სართულის სიმაღლეზე შიშვლად დარჩენილი კედელი და პირველი სართულის კიდევ უფრო ძველი კედლის ფრაგმენტიღაა დარჩენილი.





გვიან შუასაუკუნეების თბილისისათვის ტრადიციად ქცეული შერეული მასალით - ძველი აგურითა და ფლეთილი ქვის მონაცვლეობით ნაგები კედლები, მძლავრ პილასტრს დაყრდნობილი ღრმა თაღოვანი ნიშის ნაშთებით XVIII ს-ის მიწურულს უნდა ეკუთვნოდეს. სავარაუდოდ, ეს კედლები დანგრეული ნაგებობების საძირკველს - მიწის სართულს წარმოადგენდა, რაც გავრცელებული პრაქტიკა იყო იმდროინდელ თბილისში.

ურბნისის ქ. №4-ში განთავსებული შენობა, რომელთანაც ასასვლელ ქვის კიბეს ავყავართ, იმთავითვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ურბნისის ქ. №2-თან, მათ საერთო შიდა ეზო ჰქონდათ ხის შუშაბანდებით და ღია აივნებით გაფორმებული. ის, რაც დღეს ამ ნაგებობებისგან შემორჩა, აღარ მეტყველებს მათ მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებაზე, მაგრამ უდავოდ ყურადღების ღირსია გალავნის ან დამცავი კედლის შემონახული ფრაგმენტი.





ჩვენ საკვლევ ტერიტორიაზე დანგრეული შენობების მიმდებარედ მდებარეობს ურბნისის ქუჩა №6, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რუსული Г-ს ფორმის გეგმარებიანი ორსართულიანი ნაგებობა, რომლის მთავარი ფასადი, მიმართული ფერისცვალების შესახვევის მხარეს, შემკულია კლასიცისტური სტილის თავისებურად გადამუშავებული მხატვრული ელემენტებით.





ნაგებობა თბილისური საცხოვრებელი სახლის იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ ტიპს წარმოადგენს შელესილი მთავარი ფასადითა და შიდა ეზოსკენ მიმართული ხის ჭვირული აივნით. თავდაპირველად აივანი მთავარი ფასადის მარჯვენა კიდეში იწყებოდა და ეზოს სიღრმეში ვითარდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, აივნის ეს ნაწილი მთლიანად გალესილია და მისი პირვანდელი სახის დადგენა მხოლოდ სარესტავრაციო კვლევის შედეგად არის შესაძლებელი.

სახლის მთლიანი მოცულობა შეკრულია ერთიანი, ხის კრონშტეინიანი კარნიზით, რომელიც მოსაზღვრავს დამახასიათებელი ფორმის სახურავს სამერცხლულითურთ. სწორედ ეს მოცულობა არის ამოსაცნობი პროკუდინ-გორსკის XX ს-ის დასაწყისის ფოტოზე, რომელზედაც აშკარად იკვეთება არსებული ძეგლის სახურავი და მის გვერდზე შედარებით მაღალი ნაგებობა.



შენობის II სართულის თაღოვანი სარკმლების თანაბრად დანაწევრებული ფასადის შემკულობა მხატვრულად გააზრებული და მოწესრიგებულია. თითეულ სარკმელს ამკობს სწორკუთხა ფორმის ცენტრში მცირე ფრონტონებივით შეტეხილი პროფილირებული თავსართები და მათ შორის განთავსებული ნალესი ვარდულის ტიპის წრიული მედალიონები.





ფასადის მთელი სიბრტყე ორნამენტული ნაწილების გარდა, სადად არის გალესილი, ხოლო ფერისცვალების შესახვევის მხარეს გამავალი კედელი თხელი რუსტით არის დაფარული (შესაძლებელია ეს უფრო გვიანდელი დეკორის ნაწილია).

საგანგებოდ აღსანიშნავია ნაგებობის უკიდურესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობა. კედლები როგორც ინტერიერში, ასევე გარედან, ერთიანად არის დაბზარული. აღინიშნება ღრმა, გამჭოლი ბზარები და მთლიანი სახლის დეფორმაცია, რაც განსაკუთრებით თვალნათელია კარ-სარკმლების დამრეცი ღიობების მიხედვით. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ შენობა მწვავედ ავარიულია. მისი კონსტრუქციული გამაგრება მნიშვნელოვან ძალისხმევას და კონსტრუქციულ გადაწყვეტას მოითხოვს იმისათვის, რომ შევნარჩუნოთ ძეგლის მთავარი, ფერისცვალების შესახვევის მხარეს მიმართული ღირებული ფასადის ნაწილი მაინც.





არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის წარმოებისას აუცილებელია *არქეოლოგიური მეთვალყურეობა*, რადგანაც ეს ტერიტორია შუასაუკუნებრივი ქალაქის, კერძოდ ისან-ავლაბრის ფარგლებში მდებარეობს.

რეკომენდაციები

შესწავლილ მიწის ნაკვეთზე ახალი მოცულობის დაპროექტებისას გასათვალისწინებელია მის ფარგლებში და ირგვლივ არსებული სიძველეების გამოვლენის და კონსერვაციის ყველა შესაძლო ქმედება, კერძოდ:

- ნაკვეთზე არსებული შუასაუკუნეობრივი დამცავი კედელი უნდა გამაგრდეს, დაექვემდებაროს კონსერვაციას და სასურველია ჩართული იქნას პროექტის დიზაინში.

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ურბნისის ქ. №6 შესანარჩუნებლად სასურველია მოხდეს მისი რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტის შემუშავება ძეგლის მოცულობის ნაწილობრივი, ხოლო ფასადის მაქსიმალურად გადარჩენის მიზნით. ამასთან, არ გამოვრიცხავ უკვე დანგრეული ნაწილების ნაცვლად ფრთხილი თანამედროვე ჩარევის შესაძლებლობასაც.
- დანგრეული ნაგებობების ნაცვლად არსებულ ცარიელ მიწის ნაკვეთზე ვფიქრობ შესაძლებელია საკმაოდ მაღალი, ავლაბრის მოედნის მასშტაბის შესაბამისი მოცულობის დადგმა, რადგანაც ეს ნაწილი უშუალოდ გამზირისკენ არის მიმართული. ამასთან, ამ მოცულობამ სასურველია გაიმეოროს ძველი გეგმარებითი სტრუქტურა და მისი ფასადები იყოს არა აგრესიული, არამედ თანაბარზომიერი ისტორიული განაშეიანების მიმართ.
- საშენ მასალად შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც ტრადიციული ხისა და აგურის ფაქტურები, ასევე თანამედროვე, სადა, მოსაპირკეთებელი მასალები.
- დიდი ზომის შემინული ზედაპირების გამოყენება ამ უბანში მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.
- სასურველია შენარჩუნდეს ურბნისის ქუჩასთან დამაკავშირებელი კიბე, როგორც არსებული მორფოლოგიის შემადგენელი ნაწილი.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

ბიბლიოგრაფია

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ.1, 1960; ტ. II, 1961
2. თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1977.
3. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბილისი, 1984.
4. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისი, 1985.
5. მ. მანია, რიყის არქიტექტურული განვითარების შესახებ. (მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე), თბილისი, 2010.
6. გ. ჭანიშვილი, თბილისი, რიყე, დუტუ მეგრელის ქუჩა, ფერდობი ღვინის აღმართთან. საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, თბილისი, 2008.
7. დ. ხოშტარია, მ. ხატიაშვილი. ღვინის აღმართის და დუტუ მეგრელის ქუჩის გადაკვეთასთან მდებარე ნაკვეთის მხატვრულ-სტილისტური კვლევა, თბილისი, 2011.

კვლევისთვის გამოყენებულია საარქივო მასალა ქალაქ თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებიდან (ქარვასლა), თბილისის რეკონსტრუქციის პროექტიდან (ავტორი გ. ბათიაშვილი), ძველი თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმიდან (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი) და პირადი არქივიდან.